განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი - 09.03.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოსმცოდნეობა – 0521
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 - სასწავლო კომპონენტის ECTS კრედიტების რაოდენობა
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #202 (11 ივლისი, 2012)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია აზმაიფარაშვილი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მოცემულ პროგრამას უნივერსიტეტი აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 2012 წლიდან. 2012 წელს მოქმედი კლასიფიკატორით ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა მიეკუთვნებოდა მიმართულებათაშორის დარგს, ხოლო განახლებული სფეროების კლასიფიკატორით კი იგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: ფართო სფერო 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა → ვიწრო სფერო: 052 გარემო → დარგობრივი სფერო: 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

2021 წლის 20 დეკემბერს უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში წარადგინა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის პაკეტი, რითაც ადასტურებდა პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 4 თებერვლის ბრძანების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეეფასებინა პირველი „1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა", მე-2 „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა" და მე-4 „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა" სტანდარტები (აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მოცემულ პროგრამას უნივერსიტეტი აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 2012 წლიდან. 2012 წელს მოქმედი კლასიფიკატორით ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა მიეკუთვნებოდა მიმართულებათაშორის დარგს, ხოლო განახლებული სფეროების კლასიფიკატორით კი იგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: ფართო სფერო 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა → ვიწრო სფერო: 052 გარემო → დარგობრივი სფერო: 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

პროგრამის მიზანი წარმოდგენილია პროგრამის კურიკულუმში, სადაც გაცხადებულია, რომ პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიცირებული, მოტივირებული და პასუხისმგებლობის მქონე მკვლევარის მომზადება გამოყენებითი ეკოლოგიის სფეროში. ამასთან მიზანში დაკონკრეტებულია ეკოლოგიის მიმართულებები, რომლის სწავლებასაც ახორციელებს პროგრამა, როგორიცაა გეოეკოლოგია, ბიოეკოლოგია, ქიმიური ეკოლოგია, აგროეკოლოგია. პროგრამის მიზნებში არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც პროგრამის შემდგომი განვითარების გამოწვევაა.

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" შესაბამისად, სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი ძირითადი კომპეტენციით: ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს განაცხადს დოქტორანტის კომპეტენციების შესახებ, რომელსაც პროგრამა აღწევს „გამოყენებითი ეკოლოგიის სხვადასხვა დარგებში (გეოეკოლოგია / ბიოეკოლოგია / ქიმიური ეკოლოგია / ფიზიკური ეკოლოგია / აგროეკოლოგია) მიღებული ცოდნის საფუძველზე". თუმცა, აღსანიშნავია, რომ რადგან პროგრამა

წარმოადგენს უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას დარგობრივ სფეროში - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა და მისი ძირითადი მიმართება - ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრავს დაინტერესებული პირის კვალიფიკაციას (მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული); სამუშაო გამოცდილებას (მინიმუმ 3 წელი გარემოსდაცვით სფეროში); უცხო ენის ფლობას (B2 დონე). ამასთან პრედენდენტი გადის გასაუბრებას დარგობრივ კომისისათან. დოქტორანტურაში მიღებისას გასაუბრებაზე კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს პრეზენტაცია, დარგობრივი განათლების, გამოცდილებისა და სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი გეგმების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან წინაპირობაზე - უცხო ენის ფლობა (B2 დონე). დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა, რომელიც იყენებს ინგლისურენოვან წყაროებს. მაგ. სასწავლო კურსები: კვლევის მეთოდოლოგია (კურსის სტატუსი - სავალდებულო), SPSS-ის კურსი დოქტორანტებისათვის, მეცნიერების მენეჯმენტი, სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (კურსების სტატუსი-არჩევითი). შესაბამისად, პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე შესაფასებელია რამდენად ადექვატურია მოცემული პროგრამისათვის ევროპული სამეცნიერო ენებიდან (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) ერთ-ერთის ცოდნა და ხომ არ არის საჭირო მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მოცემული ფაქტიური მდგომარეობა ადასტურებს, რომ რეკომენდებულია უცხო ენის ცოდნის მხრივ სავალდებულოდ განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილი და განახლებულია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურს - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. პროგრამა შედგენილია თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნების დაცვით, რომლის მიხედვით პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა შედგებოდეს: ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (10-25 კრედიტი, სავალდებულო); ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); დ) სხვა სასწავლო აქტივობები (სასწავლო კურსები/მოდულები, პრაქტიკა და სხვ.).

თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტების სპეციფიკას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის სასწავლო სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები აღწერილია სამი კომპეტენციის მიხედვით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ისეა ფორმულირებული, რომ ცოდნა-გაცნობიერებისა და უნარების კომპეტენციები ერთმანეთს ფარავს და ნაკლებად ჩანს მათ შორის გამიჯვნა. ასეთი ფორმულირება, ერთი მხრივ, განაპირობებს წარმოდგენილი სწავლის შედეგის კომპლექსურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას ერთდროულად რამდენიმე აქტიური ზმნის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული განპირობებულია 2012 წელს აკრედიტებული პროგრამის ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მოცულობითი სამუშაო პროცესით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა

პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება და ამ პროცესში კარგი პრაქტიკის გაზიარება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას, კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსში „მეცნიერების მენეჯმენტი" ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ლინკები. ესპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მოცემული ლინკები და აღმოჩნდა, რომ ისინი არ ფუნქციონირებს, რადგან უნივერსიტეტმა განაახლა ოფიციალური საიტი (რომელიც მოცემული შეფასების პერიოდში ფუნქციონირებდა სატესტო რეჟიმში), თუმცა მომხმარებლებისათვის ასევე ხელმისაწვდომი იყო ძველი საიტი, სადაც განთავსებულია მოცემული კურსის სასწავლო მასალები. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი" სილაბუსში განახლდეს შესაბამისი ლიტერატურის ლინკები.

წარმოდგენილი პროგრამა, სადოქტორო სწავლების საფეხურისა და დასახული სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აღნიშნული მიიღწევა როგორც სასწავლო კურსებით, ასევე კვლევითი კომპონენტით - სადოქტორო ნაშრომით.

სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება იწყება დოქტორანტის სემინარების სერიით, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და დოქტორანტის დარგობრივი ცოდნის გაზრდას შემდგომი კვლევების ხარისხის ამაღლების მიზნით. დოქტორანტები სწავლების დამამამთავრებელ ეტაპზე ამზადებენ სადისერტაციო ნაშრომს,

სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკა აკრედიტებული პროგრამის არსებობის მანძილზე კიდევ უფრო იხვეწება და ვითარდება.

სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტიანია, თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრულია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესისათვის. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 9 აფილირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (11:2) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აღნიშნული ასევე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო მაჩვენებლებით (გადამოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 11.02.2022 მდგომარეობით):

ბ. თ. - ციტირება - 100; h-index – 5; i10-index-3 (Google Scholar);

გ. მ. - ციტირება - 183; h-index – 6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება -48; h-index – 1 (Scopus);

ო.ფ. - ციტირება - 103; h-index – 6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება - 18; h-index – 3 (Scopus);

მ. მ. - ციტირება - 464; h-index–12; i10-index-16 (Google Scholar); ციტირება-166; h-index–6 (Scopus);

დ. ნ. - ციტირება - 162; h-index – 7; i10-index-5 (Google Scholar); ციტირება - 8; h-index – 2 (Scopus);

გ.ღ. - ციტირება - 152; h-index–6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება - 111; h-index – 5 (Scopus).

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი არის თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „გამოყენებითი ეკოლოგიის“ ინსტიტუტის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება პირადი საქმით, სამეცნიერო მაჩვენებლები Google Scholar-ში - ციტირება - 123; h-index – 7; i10-index-5.

წარმოდგენილი თვითშეფასების საფუძვლეზე ირკვევა, რომ პროგრამის მხარდამჭერია ფაკულტეტი და თსუ-ს ბიბლიოთეკა, რომელიც აერთიანებს უახლესი ქართული და უცხოური თანამედროვე წიგნების ფონდს. ასევე, რესურსცენტრი, მუზეუმი, ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიები, ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თსუ-სთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთანაც თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

რეკომენდაციები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) და არა „გამოყენებითი ეკოლოგია“, ხოლო სწავლის შედეგები შინაარსობრივად გაძლიერდეს დარგობრივი სფეროს ძირითადი მიმართების წარმოდგენით, როგორიცაა ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2. რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების წინაპირობა - უცხო ენის ფლობა (B2 დონე) დაკონკრეტდეს და შესაბამისი უცხო ენა განისაზღვროს პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსისა და გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, უცხო ენის მხრივ, პროგრამისათვის მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ცოდნა.

2.3. სასწავლო კურსი

3. რეკომენდებულია გადამუშავდეს და განახლდეს სავალდებულო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“, რომელიც განკუთვნილია გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის და ძირითად ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამისათვის უნდა შემუშავდეს კურსი, რომელიც ზუსტად უპასუხებს პროგრამის დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რომელიც კლასიფიკატორის განმარტებით შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნებში პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხების ასახვა გააძლიერებს პროგრამას და ხელს შეუწყობს მის მდგრად განვითარებას.
- პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ამ პროცესში კარგი პრაქტიკის გაზიარების გზით.
- სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსში განახლდეს შესაბამისი ლიტერატურის ლინკები.

ექსპერტების პასუხი არგუმენტირებულ პოზიციაზე

რეკომენდაცია 1 (კომპონენტი 1.2, პროგრამის სწავლის შედეგები) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) და არა „გამოყენებითი ეკოლოგია“, ხოლო სწავლის შედეგები შინაარსობრივად გაძლიერდეს დარგობრივი სფეროს ძირითადი

მიმართების წარმოდგენით, როგორიცაა ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.

ინსტიტუციური პოზიცია: პროგრამის განმახორციელებელთა მოსაზრებით, პროგრამის სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ის კვლევითი თემატიკები, რომლებიც მოიაზრება წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში; სწავლის საფეხურიდან გამომდინარე ვერ იქნება ზოგადი და ის უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევით გამოცდილებას.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიცია: პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დარგის სპეციფიკას. რადგან პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას დარგობრივ სფეროში - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა და არა „გამოყენებითი ეკოლოგია“.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულია ტერმინი „ეკოლოგია“ და თითქმის არ გამოიყენებოდა ტერმინი - გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რაც საერთაშორისო დონეზე ფართო გამოყენებაშია. ამიტომ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისადმი ჩვენი რეკომენდაციაა სწავლის შედეგებში უფრო მეტად აისახოს გარემოსმცოდნეობის (Environmental Sciences) დარგობრივი სფეროს ძირითადი მიმართება - ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.

<u>შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელი სახით.</u>

რეკომენდაცია 2 (კომპონენტი 2.1, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები): რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების წინაპირობა - უცხო ენის ფლობა (B2 დონე) დაკონკრეტდეს და შესაბამისი უცხო ენა განისაზღვროს პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსისა და გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, უცხო ენის მხრივ, პროგრამისათვის მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ცოდნა.

ინსტიტუციური პოზიცია: პროგრამის განმახორციელებელი გუნდის პოზიციის თანახმად, პროგრამა ვერ შეზღუდავს პროგრამაზე იმ ღირსეული კანდიდატების დაშვებას, რომლებიც ფლობენ გერმანულ ან ფრანგულ ენას (თუმცა ასეთი საკმაოდ იშვიათია). ინგლისურის არმცოდნე დოქტორანტებისათვის მიწოდებულ იქნება ფრანგული და გერმანულენოვანი ანალოგები.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა, რომელიც იყენებს ინგლისურენოვან წყაროებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე შესაფასებელია რამდენად ადექვატურია მოცემული პროგრამისათვის ევროპული სამეცნიერო ენებიდან (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) ერთ-ერთის ცოდნა და ხომ არ არის საჭირო მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მოცემული ფაქტიური მდგომარეობა ადასტურებს,

რომ რეკომენდებულია უცხო ენის ცოდნის მხრივ სავალდებულოდ განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა. სამწუხაროდ, წარმნოდგენილ პროგრამაში არ ჩანს თუ როგორ ახერხებს პროგრამა ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე დოქტორანტების უზრუნველყოფას შესაბამისი სასწავლო და კვლევითი რესურსებით, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შესრულებისათვის.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 3. (კომპონენტი 2.3, სასწავლო კურსი): რეკომენდებულია გადამუშავდეს და განახლდეს სავალდებულო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“, რომელიც განკუთვნილია გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის და ძირითად ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამისათვის უნდა შემუშავდეს კურსი, რომელიც ზუსტად უპასუხებს პროგრამის დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რომელიც კლასიფიკატორის განმარტებით შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

ინსტიტუციური პოზიცია: კვლევის მეთოდოლოგიაში მოაზრებულია ის საკითხები, რომლებიც სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირთა მიერ განსაზღვრულ კვლევით თემატიკას შეესაბამება. ცხადია დარგის მრავალ პროფილურობიდან გამომდინარე, კვლევის ყველა მეთოდის მოცვა შეუძლებელია.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიცია: სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ ძირითად ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე. მოცემული სადოქტორო პროგრამის განაცხადია, რომ სწავლის შედეგები ორიენტირებულია კვლევაზე, რომელიც სრულდება გამოყენებითი ეკოლოგიის სხვადასხვა დარგებში (გეოეკოლოგია / ბიოეკოლოგია / ქიმიური ეკოლოგია / ფიზიკური ეკოლოგია / აგროეკოლოგია) მიღებული ცოდნის საფუძველზე. ამასთან, რადგან კურსი განკუთვნილია გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის, კურსის შინაარსი მხოლოდ გეოგრაფიასა და გეოლოგიაში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს მოიცავს.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამისათვის უნდა შემუშავდეს კურსი, რომელიც ზუსტად უპასუხებს პროგრამის დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობას, რომელიც კლასიფიკატორის განმარტებით შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 4. (კომპონენტი 2.3, სასწავლო კურსი): რეკომენდებულია სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსში განახლდეს შესაბამისი ლიტერატურის ლინკები.

ინსტიტუციური პოზიცია: აკადემიურ პერსონალი ზემოხსენებულ საკითხს ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნევს და საბჭოს წევრების ყურადღების ამ საკითხზე გამახვილებას უხერხულად თვლის. გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელი 2 სემესტრის განმავლობაში განხორციელდა თსუ ელექტრონული გვერდების რეორგანიზაცია და მათზე ატვირთული მასალების ტრანსპონირება ახალ მისამართებზე, არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ელექტრო მისამართი გადამოწმების დროს ჯერ კიდევ არ იყო დაკორექტირებული.

სასწავლო კურსი მოთხოვნადია, მისი გააქტიურებისთანავე სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირები სასწავლო კურსის სილაბუსის გადამოწმების შემდგომ ხარვეზულ ელექტრონულ მისამართებს აზუსტებენ და ანაცვლებენ. კორექტურის შემდგომ მათი განთავსება ასევე ხდება ელექტრონული სწავლების პორტალის შესაბამის ანგარიშზე. ამდენად, წინამდებარე რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს ატარებს.

ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიცია: ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ „პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ლინკები. ესპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მოცემული ლინკები და აღმოჩნდა, რომ ისინი არ ფუნქციონირებს, რადგან უნივერსიტეტმა განაახლა ოფიციალური საიტი (როემლიც მოცემული შეფასების პერიოდში ფუნქციონირებდა სატესტო რეჟიმში), თუმცა მომხმარებლებისათვის ასევე ხელმისაწვდომი იყო ძველი საიტი, სადაც განთავსებულია მოცემული კურსის სასწავლო მასალები.“ ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მოცემული საკითხის შესახებ დაწესებულების პოზიციას, თვლის, რომ ეს წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელსაც დაწესებულება თავადაც აუცილებლად გაასწორებდა.

<u>შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია გადააქვს რჩევაში.</u>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და იზიარებს მის მიმართებებს. წარმოდგენილი პროგრამა ასევე პასუხობს უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტს (27.12.2018), რომლის მიხედვით „დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან“.

მოცემულ პროგრამას უნივერსიტეტი აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 2012 წლიდან. 2012 წელს მოქმედი კლასიფიკატორით ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა მიეკუთვნებოდა მიმართულებათაშორის დარგს, ხოლო განახლებული სფეროების კლასიფიკატორით კი იგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: ფართო სფერო 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა → ვიწრო სფერო: 052 გარემო → დარგობრივი სფერო: 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

პროგრამის მიზანი წარმოდგენილია პროგრამის კურიკულუმში, სადაც გაცხადებულია, რომ პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიცირებული, მოტივირებული და პასუხისმგებლობის მქონე მკვლევარის მომზადება გამოყენებითი ეკოლოგიის სფეროში. ამასთან მიზანში დაკონკრეტებულია ეკოლოგიის მიმართულებები, რომლის სწავლებასაც ახორციელებს პროგრამა, როგორიცაა გეოეკოლოგია, ბიოეკოლოგია, ქიმიური ეკოლოგია, აგროეკოლოგია. პროგრამის მიზნებში არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც პროგრამის შემდგომი განვითარების გამოწვევაა.

არსებული განაცხადით პროგრამის მიზნები პასუხობს გარემოსმცოდნეობის დარგობრივ სფეროს, თუმცა სასურველია პროგრამამ მიზნებში უფრო მეტად გამოკვეთოს დარგობრივი სფეროს ძირითადი მიმართება - ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან” და “სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან” შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი. დადგენილება №245/2018; 27 დეკემბერი, 2018

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნებში პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხების ასახვა გააძლიერებს პროგრამას და ხელს შეუწყობს მის მდგრად განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" შესაბამისად, სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი ძირითადი კომპეტენციით: ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურიობა. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტი კეთდება „გამოყენებით ეკოლოგიაზე", როგორც დარგობრივ სფეროზე, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს განაცხადს დოქტორანტის კომპეტენციების შესახებ, რომელსაც პროგრამა აღწევს „გამოყენებითი ეკოლოგიის სხვადასხვა დარგებში (გეოეკოლოგია / ბიოეკოლოგია / ქიმიური ეკოლოგია / ფიზიკური ეკოლოგია / აგროეკოლოგია) მიღებული ცოდნის საფუძველზე". თუმცა, აღსანიშნავია, რომ რადგან პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას დარგობრივ სფეროში - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა და არა „გამოყენებითი ეკოლოგია". ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულია ტერმინი „ეკოლოგია" და თითქმის არ გამოიყენებოდა ტერმინი - გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რაც საერთაშორისო დონეზე ფართო გამოყენებაშია. ამიტომ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისადმი ჩვენი რეკომენდაციაა სწავლის შედეგებში უფრო მეტად აისახოს გარემოსმცოდნეობის (Environmental Sciences) დარგობრივი სფეროს ძირითადი მიმართება - ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. ამრიგად, პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და მეტწილად შეესაბამება დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სფერო - გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences) და არა „გამოყენებითი ეკოლოგია", ხოლო სწავლის შედეგები შინაარსობრივად გაძლიერდეს დარგობრივი სფეროს ძირითადი მიმართების

წარმოდგენით, როგორიცაა ორგანიზმების ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში შესწავლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრავს დაინტერესებული პირის კვალიფიკაციას (მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული); სამუშაო გამოცდილებას (მინიმუმ 3 წელი გარემოსდაცვით სფეროში); უცხო ენის ფლობას (B2 დონე). ამასთან პრედენდენტი გადის გასაუბრებას დარგობრივ კომისისათან. დოქტორანტურაში მიღებისას გასაუბრებაზე კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს პრეზენტაცია, დარგობრივი განათლების, გამოცდილებისა და სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი გეგმების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან წინაპირობაზე - უცხო ენის ფლობა (B2 დონე). პროგრამას არ აქვს დაკონკრეტებული რომელი უცხო ენის ფლობა არის მოთხოვნილი პროგრამისათვის, თუმცა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მიხედვით „დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა“. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა, რომელიც იყენებს ინგლისურენოვან წყაროებს. მაგ. სასწავლო კურსები: კვლევის მეთოდოლოგია (კურსის სტატუსი - სავალდებულო), SPSS-ის კურსი დოქტორანტებისათვის, მეცნიერების მენეჯმენტი, სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (კურსების სტატუსი-არჩევითი). შესაბამისად, პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე შესაფასებელია რამდენად ადექვატურია მოცემული პროგრამისათვის ევროპული სამეცნიერო ენებიდან (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) ერთ-ერთის ცოდნა და ხომ არ არის საჭირო მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მოცემული ფაქტიური მდგომარეობა ადასტურებს, რომ რეკომენდებულია უცხო ენის ცოდნის მხრივ სავალდებულოდ განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მიხედვით დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ან შესაბამისი მოდულის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია მიღების გამოცხადების წინ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • საგანმანათლებლო პროგრამის “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან” და “სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან” შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების წინაპირობა - უცხო ენის ფლობა (B2 დონე) დაკონკრეტდეს და შესაბამისი უცხო ენა განისაზღვროს პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსისა და გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, უცხო ენის მხრივ, პროგრამისათვის მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ცოდნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილი და განახლებულია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო სწავლების საფეხურს - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. პროგრამა შედგენილია თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნების დაცვით, რომლის მიხედვით პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა შედგებოდეს: ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (10-25 კრედიტი, სავალდებულო); ბ) პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); დ) სხვა სასწავლო აქტივობები (სასწავლო კურსები/მოდულები, პრაქტიკა და სხვ.). პროგრამის სასწავლო კომპონენტების სავალდებულო მოცულობაა 40 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა 20 კრედიტი (30 კრედიტიდან); ხოლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების, უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • სასწავლო კომპონენტების სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი. დადგენილება №245/2018; 27 დეკემბერი, 2018
რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტების სპეციფიკას.

პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი სავალდებულო კურსი არის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ძირითად ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე. აღნიშნულის მიზეზი შესაძლებელია იყოს ის, რომ კურსი განკუთვნილია გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამისათვის უნდა შემუშავდეს კურსი, რომელიც ზუსტად უპასუხებს პროგრამის დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობას, რომელიც კლასიფიკატორის განმარტებით შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.

სავალდებული სასწავლო კომპონენტებიდან ყველაზე დიდი წილი ეთმობა დოქტორანტის სემინარს (ორ სემესტრად), თითოეულის მოცულობა შეადგენს 15 კრედიტს. თითოეული კურსის ფარგლებში დოქტორანტი წარადგენს სასემინარო ნაშრომს, რომელიც მოიცავს დარგის აქტუალურ საკითხებს და მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივი ცოდნის გაზრდას შემდგომი კვლევების ხარისხის ამაღლების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის სასწავლო სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები აღწერილია სამი კომპეტენციის მიხედვით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ისეა ფორმულირებული, რომ ცოდნა-გაცნობიერებისა და უნარების კომპეტენციები ერთმანეთს ფარავს და ნაკლებად ჩანს მათ შორის გამიჯვნა. ასეთი ფორმულირება, ერთი მხრივ, განაპირობებს წარმოდგენილი სწავლის შედეგის კომპლექსურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას ერთდროულად რამდენიმე აქტიური ზმნის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული განპირობებულია 2012 წელს აკრედიტებული პროგრამის ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მოცულობითი სამუშაო პროცესით, თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გაუმჯობესება და ამ პროცესში კარგი პრაქტიკის გაზიარება.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის

თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას, კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსში „მეცნიერების მენეჯმენტი“ ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ლინკები. ესპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მოცემული ლინკები და აღმოჩნდა, რომ ისინი არ ფუნქციონირებს, რადგან უნივერსიტეტმა განაახლა ოფიციალური საიტი (როემლიც მოცემული შეფასების პერიოდში ფუნქციონირებდა სატესტო რეჟიმში), თუმცა მომხმარებლებისათვის ასევე ხელმისაწვდომი იყო ძველი საიტი, სადაც განთავსებულია მოცემული კურსის სასწავლო მასალები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მოცემული საკითხის შესახებ დაწესებულების პოზიციას, თვლის, რომ ეს წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელსაც დაწესებულება თავადაც აუცილებლად გაასწორებდა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსში განახლდეს შესაბამისი ლიტერატურის ლინკები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • სასწავლო კომპონენტების სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამის “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან” და “სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან” შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში • თსუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი tsu.edu.ge (სატესტო რეჟიმში) 17.020.2022 მდგომარეობით
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გადამუშავდეს და განახლდეს სავალდებულო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“, რომელიც განკუთვნილია გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის და ძირითად ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამისათვის უნდა შემუშავდეს კურსი, რომელიც ზუსტად უპასუხებს პროგრამის დარგობრივ სფეროს - 0521 გარემოსმცოდნეობა (Environmental Sciences), რომელიც კლასიფიკატორის განმარტებით შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან ურთიერთობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება ამ პროცესში კარგი პრაქტიკის გაზიარების გზით. • სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსში განახლდეს შესაბამისი ლიტერატურის ლინკები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა, სადოქტორო სწავლების საფეხურისა და დასახული სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აღნიშნული მიიღწევა როგორც სასწავლო კურსებით, ასევე კვლევითი კომპონენტით - სადოქტორო ნაშრომით.

სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება იწყება დოქტორანტის სემინარების სერიით, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და დოქტორანტის დარგობრივი ცოდნის გაზრდას შემდგომი კვლევების ხარისხის ამაღლების მიზნით. დოქტორანტები სწავლების დამამამთავრებელ ეტაპზე ამზადებენ სადისერტაციო ნაშრომს,

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მიხედვით „სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამისამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთიმაინც დადებითი „იმპაქტ–ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა“. ამასთან, „ერთი იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ სადისერტაციო ნაშრომში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება მაშინაც, როცა ის მიღებულია დასაბეჭდად, რაც დასტურდება ჟურნალის რედაქციის მიერ გაცემული ცნობით ან გამოცემის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებული ინფორმაციით“.

სადოქტორო პროგრამაში ჩართულია დარგის მაღალკვალიფიციური მკვლევრები. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვნელად შეიძლება დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება დაშესაბამისი პუბლიკაციები, რომელთაგან ერთი ნაშრომი მაინც გამოქვეყნებულია დადებითი ''იმპაქტფაქტორის'' (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონე ჟურნალში. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს კვლევის განხორციელებაში თანახელმძღვანელობას გაუწევენ პარტნიორი ორგანიზაციის მკვლევრები და უცხოელი კოლეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სწავლა-სწავლების მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით. პროგრამაში გაცხადებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, სამეცნიერო წყაროებზე მუშაობა, პრაქტიკული, სტატისტიკური, ახსნა-განმარტებითი, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკა აკრედიტებული პროგრამის არსებობის მანძილზე კიდევ უფრო იხვეწება და ვითარდება.

უნივერსიტეტში დადგენილია და პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. ამ შემთხვევებში გაითვალისწინება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და აკადემიური მომზადება. საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის რეგულაციები, შეფასების დადგენილი პროცედურები და ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების გამჭვირვალობას. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტიანია, თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრულია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. დოქტორანტის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითიგეგმის შესრულებას. თუკი დოქტორანტის ხელმძღვანელი არ არის თსუ აკადემიური პერსონალი, მაშინდოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებაზე კონტროლსახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ან შესაბამისი მოდულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილებასხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე იღებს ფაკულტეტის საბჭო.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დაცვის კომისიის წევრების მიერ კონფიდენციალურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – 71-80 ქულა; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – 61-70 ქულა; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო – 41-50 ქულა; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

სადისეტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის/შემფასებლების მონაწილეობა. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით სადისერტაციო ნაშრომი გადის რეცენზირებაზე ორ რეცენზენტთან, რომლებსაც გამოყოფს ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი და სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ ფასდება			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 9 აფილირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (11:2) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობასა და თსუ-ს რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, თსუ-ს დაწესებული აქვს კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები აკადემიური პერსონალისთვის (თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. აკადემიურ პერსონალს აქვს ადეკვატური აკადემიური ხარისხი და ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმებით და პუბლიკაციებით. ასევე, აკადემიური პერსონალი ფლობს დარგის უახლეს ინფორმაციას და აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კვლევებში, პროექტებსა და პროგრამებში. თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს. ამასთან, სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამრიგად, წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აღნიშნული ასევე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო მაჩვენებლებით (გადამოწმებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 11.02.2022 მდგომარეობით):

ბ. თ. - ციტირება - 100; h-index – 5; i10-index-3 (Google Scholar);
გ. მ. - ციტირება - 183; h-index – 6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება -48; h-index – 1 (Scopus);
ო.ფ. - ციტირება - 103; h-index – 6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება - 18; h-index – 3 (Scopus);
მ. მ. - ციტირება - 464; h-index–12; i10-index-16 (Google Scholar); ციტირება-166; h-index–6 (Scopus);
დ. ნ. - ციტირება - 162; h-index – 7; i10-index-5 (Google Scholar); ციტირება - 8; h-index – 2 (Scopus);
გ.ღ. - ციტირება - 152; h-index–6; i10-index-3 (Google Scholar); ციტირება - 111; h-index – 5 (Scopus).

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი არის თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „გამოყენებითი ეკოლოგიის“ ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული „ბუნებ¬რივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათშორისი კომისიის“ წევრი. აქვს მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო გამოცდილება, რომელიც აუცილებელია სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და განხორციელებისთვის. ამჟამად აქტიურად ჩართულია საგრანტო პროექტებში, აქვს სამეცნიერო კოლაბორაცია ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან. პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება პირადი საქმით, სამეცნიერო მაჩვენებლები Google Scholar-ში - ციტირება - 123; h-index – 7; i10-index-5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები
- განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემები Google Scholar და Scopus

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებდა ტრენინგებში, რომლებიც

ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ტრენინგის თემატიკათა შორის უნდა დასახელდეს: კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და კვალიფიკაციები; სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; თვითშეფასების ანგარიშის მომზადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება თსუ-ს მატერიალური რესურსები:

- თსუ ბიბლიოთეკა, რესურსცენტრი, მუზეუმი;
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიები;
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- თსუ-სთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები;
- სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთანაც თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

პროგრამის საჭიროების მიხედვით არსებობს კარგი შესაძლებლობები გამოყენებულ იქნას თსუ-ს შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალური რესურსები: მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი; ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი; ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი; მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. სადოქტორო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მოცემულ შემთხვევაში არ ფასდება			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„გამოყენებითი ეკოლოგია“, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 28

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ციცინო თურქაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

მაია აზმაიფარაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა